UNITE FOR QUALITY EDUCATION
Better education for a better world

გავერთიანდეთ ხარისხიანი განათლებისთვის
უკეთესი განათლება უკეთესი მომავლისათვის

განათლების ინტერნაციონალის ევროპული რეგიონის ევროპის პროფკავშირების განათლების კომიტეტის- ETUCE

10 მთავარი გზავნილი

<u>რა არის საჭირო ევროპაში ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობისთვის?</u>

განათლების ინტერნაციონალის (EI) გლობალური ინიციატივის „გავერთიანდეთ ხარისხიანი განათლებისათვის - ხარისხიანი განათლება უკეთესი მომავლისათვის“ და განათლების ინტერნაციონალის (EI) ევროპული რეგიონის (ETUCE) 2012 წლის რეგიონალურ კონფერენციაზე ,,მასწავლებელთა სამუშაო პირობებსა და ხელფასებზე ეკონომიკური კრიზისის შედეგად“ გამოკვეთილი საჭიროებების გათვალისწინებით, 2013 წლის 23 ოქტომბერს, ბრიუსელში, ETUCE-ის წევრმა ორგანიზაციებმა სპეციალურ შეხვედრაზე იმსჯელეს, **რა არის საჭირო ევროპაში ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობისთვის?**

<u>ხარისხიანი განათლების ფუნდამენტის სამი მთავარი ფაქტორია:</u> ხარისხიანი სწავლება, სწავლა-სწავლების ხარისხიანი რესურსები და სწავლა-სწავლების შესაბამისი გარემო.

23-24 ოქტომბერს ETUCE-ის კომიტეტის წევრებმა 10 მთავარი გზავნილი დაამტკიცეს:

1. *ხარისხიანი განათლების თანასწორად მიღების შესაძლებლობა, რაც ადამიანის ფუნდამენტალური უფლება და საზოგადებრივი სარგებელია*

ხარისხიანი განათლება - ადამიანის ფუნდამენტალური უფლება და საზოგადოებრივი სარგებელია, რაც ადამიანის უფლებების დეკლარაციის 26-ე მუხლით არის გარანტირებული: „ყველას აქვს განათლების მიღების უფლება“, კერძოდ, განათლების სისტემის ყველა დონეზე, მათ შორის ადრეული, დაწყებითი, საბაზისო, საშუალო, პროფესიული განათლება და სწავლება, სპეციალური საჭიროების მქონე პირთა განათლება და უმაღლესი და ზრდასრულთა განათლება. ETUCE-ის ხედვა, ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა ევროპის რეგიონის ყველა მოსწავლის, სტუდენტისა და ზრდასრულისთვის, არამხოლოდ გამიზნულია სწავლების შედეგებზე, არამედ იმის გარანტიაა, რომ თითოეული ინდივიდის განვითარება დემოკრატიული საზოგადოებაში შეტანილი წვლილის შემადგენელი ნაწილია.

2. *ევროპის მასწავლებელთა პროფკავშირების ხედვა ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად.*

იმ მიზნით, რომ განხორციელდეს ევროპის მასწავლებელთა პროფკავშირების ხედვა ხარისხიანი განათლებასთან მიმართებაში, ასევე მაღალი ხარისხის განათლების ხემისაწვდომობის უფლებით უზრუნველყოფა, რაც დემოკრატიული საზოგადოების მნიშვნელოვანი ფუნდამენტალური ფაქტორს წარმოადგენს, ETUCE-ის წევრი ორგანიზაციები მოითხოვენ უფასო განათლების ხელმისაწვდომობას კვალიფიციური მასწავლებლების გან, თანამედროვე სწავლების მასალებსა და რესურსების, სწავლების უსაფრთხო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას.

3. ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა ყველასათვის

ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის ფუნდამენტალური უფლების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, ETUCE-ის წევრი ორგანიზაციები უერთდებიან განათლების ინტერნაციონალის ინიციატივას ,,გავერთანდეთ ხარისხიანი განათლებისათვის,“ რომელიც გულისხმობს ერთიან ქმედებას ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მიზნით, მათ შორის კვალიფიციური, დამწყები მასწავლებლების ტრენინგებისა და მათი პროფესიული ზრდისა და განვითარების ხელშეწყობას.

4. *საჯარო განათლების დაფინანსება*

განათლების სფეროს არსებული მდგომარეობა არასახარბიელოა, რაც ნაწილობრივ ეკონომიკური კრიზისისა და ზოგიერთი ხელისუფლების ქმედებების შედეგად არის განპირობებული. ETUCE-ის წევრი ორგანიზაციები გმობენ პოლიტიკური იდეოლოგიების შედეგად შექმნილ არსებულ მდგომარეობას, რამაც ზიანი მიაყენა საჯარო განათლების სრულყოფილად უზრუნველყოფას. ETUCE-ის წევრი ორგანიზაციები გმობენ კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე, პოტენციურად მომგებიანი განათლების მომსახურების სერვისების პრივატიზაციის მზარდ ტენდენციებს, რაც საფრთხეს უქმნის საჯარო განათლების ხელმისაწვდომობას.

5. თანასწორი შესაძლებლობები და სოციალური მობილობის უზრუნველყოფა

ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა თანაბრად უნდა იყოს უზრუნველყოფილი არა მომგებიანი მიზნით. მთავრობებს აღებული აქვთ პასუხისმგებლობა უზრუნველყონ განათლების შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფა მზარდი გადასახადების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, რომ საჯარო განათლებაზე არ ხდებოდეს გადასახადების ლიმიტების შეზღუდვა,

6. *მასწავლებელთა ხარისხიანი ტრენინგებით უზრუნველყოფა*

ხარისხაინი განათლების ხელმისაწვდომობასთან მიმართებაში მასწავლებელთა და პროფკავშირთა მნიშვნელოვანი როლის გათვალისწინებით, ETUCE-ის წევრი ორგანიზაციები მასწავლებლებისა და პროფკავშირების მზადყოფნას გამოხატავენ ყველა მოსწავლისთვის ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მისაღწევად, რადგან განათლება საზოგადოების სარგებელად არის აღიარებული. მასწავლებლები მოსწავლეებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო რესურსია და ხარისხიანი განათლების განმსაზღვრელია, რის მიხედვითაც შესაბამისად უნდა მოხდეს მათი წვლილის აღიარება. დაფასებული უნდა იყოს მასწავლებელთა პროფესიონალიზმი, შესაბამისად, მათთვის საჭირო ტრენინგებით უზრუნველყოფილნი.

7. მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟულობა

განათლების სისტემაში მოტივირებული და მაღალ კვალიფიკაციის მასწავლებლების მოზიდავა ხარისხის გარანტიაა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ETUCE და მისი წევრი ორგანიზაციები მასწავლებელთა უფლებების, შესაბამისი სამუშაო გარემოს, ადექვატური ხელფასების, ბენეფიტების, სამართლიანი პენსიების და გადამზადების, მათი მუდმივი პროფესიული განვითარების, შესაბამისი სწავლა სწავლების რესურსების ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო გარემოს ადვოკატირებას ახორციელებს. ეს ყველაფერი შექმნის პერსპექტივას, რომ მასწავლებლობა გახდეს მიმზიდველი პროფესია მომვალი თაობის შორის კარიერის არჩევის დროს.

8. *მასწავლებელთა პროფესიული კავშირები და სოციალური დიალოგის წარმოების დანერგვა*

წარმატებული ეკონომიკური და სოციალური რეფორმების განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი სოციალურ დიალოგის წარმოებას უკავია, აღნიშნულიდან გამომდინარე ETUCE-ის წევრი ორგანიზაციები ხაზგასმით აღნიშნავენ პროფკავშირების შესაძლებლობებს სოციალურ სისტემებში ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების, განათლების სფეროსა და შრომით ბაზარზე მოსალოდნელი შედეგების მიმართებაში ცნობიერების ამაღლების მიზნით, მასწავლებელთა პროფკავშირები წამყვან როლს სამუშაო ადგილების, ეკონომიკური მდგრადობის, შრომითი ბაზრისა და სოცალური გარანტიების პირობების შექმნასთან მიმართებაში.

9. *მასწავლებელთა პროფკავშირების ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, მათ შორის რაც პირდაპირ თუ არაპირდაპი განათლების სექტორში მიმდინარე პროცესებთან არის კავშირში.*

მნიშვნელოვანი ფაქტორია რა მასწავლებელთა პროფკავშირების ჩართულობა იმ პროცესებთან დაკავშირებით, რაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ განათლების სფეროსთან არის კავშირში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ETUCE-ის წევრი ორგანიზაციები მოუწოდებენ სოციალურ პარტნიორებს ეროვნულ, რეგინალურ დონეებზე განათლების სფეროს სტექჰოლდერებს დროული და

თანმიმდევრული კონსულტაციების წარმოებისკენ, რათა მოხდეს სიტუაციის შესაბამის ანალიზი და საჭირო ზომების გასატარებლდ ადექვატური გადაწყვეტილებების შემუშავება. მნიშვნელოვანია სოცალური დიალოგის განვითარების ხელშეწყობა ადგილობრივ დონეებზე, მათ შორის მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციის ჩართულობით.

10. *სოციალურ პარტნიორთა შორის თანმიმდევრული კონსულტაციების წარმოება ეკონომიკური და სოციალური პროგრესის მიზნით*

ETUCE-ის წევრი ორგანიზაციები მოითხოვენ რა ეროვნულ და/ან ევროპულ სოციალურ პარტნიორებს შორის თანმიმდევრული და შესაბამისი კონსულტაციების პროცესის წარმოებას ეროვნულ დონეზე მთავრობებთან, ხოლო ევროპულ დონეზე ევროკომისიის, პარლამენტის საბჭოს შორის, მოუწოდებენ ევროპულ სავალუტო კავშირს უზრუნველყონ ევროკავშირში სოციალური და ეკონომიკური პროგრესი, რაც გამოხატული უნდა იყოს ეკონიკური და სოცალური პროგრესის სასარგებლო სტრატეგიების განვითრებით.